„დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
მმართველი საბჭოს დადგენილებით
რექტორი, პროფესორი
_________ ს. ტეფნაძე
04. 08. 2020
დადგენილება № 08/12

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

# COVID-19 პანდემიის პირობებში საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რეაგირებისა და მზადყოფნის გეგმა

ძირითადი ასლი

# 1 სარჩევი

1 სარჩევი .......... 2
i. ცვლილებები .......... 3
ii. ცვლილებების ისტორია .......... 4
iii. მოქმედი გვერდების სია .......... 5
2 დოკუმენტაციის კონტროლი .......... 6
3 ძირითადი ნაწილი .......... 7
მუხლი 1. ზოგადი დებულებები .......... 7
დანართი .......... 9

# i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

| შედგენილია: | დამტკიცებულია: |
|---|---|
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | რექტორი |
| | |
| თარიღი: | თარიღი: |
| | |

| ამოღებული გვერდი | | | | დამატებული გვერდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თავი | გვერდი | ცვლილება | თარიღი | თავი | გვერდი | ცვლილება | თარიღი |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |

## ii. ცვლილებების ისტორია

| ცვლილების № | ცვლილების საფუძველი | შეცვლილი გვერდები | თარიღი | ცვლილების ინიციატორი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

# iii. მოქმედი გვერდების სია

| თავი | გვერდი | ცვლილება | თარიღი | თავი | გვერდი | ცვლილება | თარიღი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0 | 1 | 0 | აგვისტო 2020 | | | | |
| 1 | 2 | 0 | აგვისტო 2020 | | | | |
| i | 3 | 0 | აგვისტო 2020 | | | | |
| ii | 4 | 0 | აგვისტო 2020 | | | | |
| iii | 5 | 0 | აგვისტო 2020 | | | | |
| 2 | 6 | 0 | აგვისტო 2020 | | | | |
| 3 | 7 | 0 | აგვისტო 2020 | | | | |
| 3 | 8 | 0 | აგვისტო 2020 | | | | |
| 3 | 9 | 0 | აგვისტო 2020 | | | | |

## 2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

**დოკუმენტების დასაგზავნი სია**

| ორგანიზაცია | ფორმატი | ასლის ნომერი |
|---|---|---|
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | ბეჭდური | ძირითადი ასლი |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | ელექტრონული | ელექტრონული ვერსია |
| ვებ-გვერდი | ელექტრონული | ელექტრონული ვერსია |

# 3 ძირითადი ნაწილი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი შემუშავებულია ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით და იგი სავალდებულოა უნივერსიტეტის შენობებში მყოფი ყველა პირისთვის. პირი, რომელიც არ დაემორჩილება აღნიშულ წესს, დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
2. შენობის ყველა შესასვლელთან, პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მიზნით უნდა განხორციელდეს თერმოსკრინინგი. ცხელების - 37C ან მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება ტემპერატურის გადამოწმებას (5 წუთიან შუალედში). განმეორებით ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში პირი არ დაიშვება უნივერსიტეტის შენობებში.
3. ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში აღრიცხვა უნდა განხორციელდეს სპეციალურ ჟურნალში.
4. თერმოსკრინინგს და სპეციალური ჟურნალის წარმოებას უზრუნველყოფს რექტორის მიერ განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი პირი.
5. უნივერსიტეტის შენობებში, სამუშაო მაგიდებისა და სხვა ინვენტარის ზედაპირები უნდა დამუშავდეს სადეზინფექციო საშუალებებით.
6. უნივერსიტეტის შენობებში, შესასვლელებთან, ასევე ყველა სართულზე ხელის დეზინფექციისთვის უნდა განთავსდეს სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარი.
7. პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე უნდა მოხდეს უნივერსიტეტის შენობებისა და ოთახების ბუნებრივი ვენტილაცია.
8. უნივერსიტეტის შენობაში მყოფი ნებისმიერი პირი ვალდებულია, ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაიცვას შემდეგი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები:
   - 8.1. დაიცვას ჰიგიენის წესები;
   - 8.2. მოერიდოს თავშეყრას, დაიცვას რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვით (შეძლებისდაგვარად);
   - 8.3. პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყოს სამუშაო სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია;
   - 8.4. სამუშაოს დაწყებისას და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავოს სამუშაო ინვენტარი, რომელსაც იყენებს სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
   - 8.5. ტექნიკისა და ინვენტარის მომხმარებელმა უზრუნველყოს ხშირად შეხებადი ზედაპირების (მათ შორის, კლავიატურის ღილაკების, კარების სახელურების, ჩამრთველ/გამომრთველი ღილაკების) დამუშავება რამდენჯერმე დღეში შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით;
   - 8.6. უნივერსიტეტის შენობაში მისვლამდე გააკონტროლოს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით;
   - 8.7. ატაროს პირბადე ამ დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში.
9. სავალდებულოა პირბადის გამოყენება:
   - 9.1. უნივერსიტეტის შენობების ლიფტებში;
   - 9.2. უნივერსიტეტის შენობების მისაღებებში/დერეფნები;
   - 9.3. უნივერსიტეტის შეხვედრებზე/თავშეყრისას, როდესაც შეუძლებელია 2 მეტრის სოციალური დისტანციის დაცვა.
   - 9.4. საკუთარი სამუშაო მაგიდის გარდა ყველგან.

10. ყველა პირი ვალდებულია დაიცვას ამ ბრძანებით განსაზღვრული პირბადის ტარების წესი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ექვემდებარება გაფრთხილებას და ამ წესის დარღვევის გაგრძელების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოხდება მისი შენობიდან გაძევება.

11. იმ შემთხვევაში, თუ პირს აღენიშნება რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.), იგი დაუყოვნებლივ ტოვებს შენობის ტერიტორიას, ასევე უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის მიერ გაკეთდება შეტყობინება ჯანდაცვის ცხელ ხაზე (1505) ან 112-ში.

12. მთელს სამუშაო სივრცეში განთავსდეს სავალდებულო / საინფორმაციო ნიშნები სამუშაო სივრცეში (დერეფნები, კარებები, კიბის უჯრედები, შესასვლელები, ა.შ.) განლაგდეს სავალდებულო / საინფორმაციო მიმთითებელი ნიშნები, რომლებიც შეახსენებს დასაქმებულებს შემდეგ საკითხებს:

12.1. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისა და მისი მოცილების წესი

12.2. პირადი ჰიგიენის (ხელის დაბანვა და სადეზინფექციო ხსნარით დამუშავება) წესები

12.3. დისტანცირება (მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა სხვა დასაქმებულებთან);

12.4. ფიზიკური კონტაქტის აკრძალვა (გადახვევა, გადაკოცნა, ხელის ჩამორთმევა, ა.შ.);

12.5. საკონტაქტო ინფორმაცია (ვის უნდა დაუკავშირდნენ სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში)

# დანართი

### თავდაცვის რეკომენდაციები

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;

- დაასუფთავეთ სადეზინფექციო საშუალებებით სამუშაო ზედაპირები, თუ ხელსაწყოები;

- ხშირად დაიბანეთ ხელები საპნით, წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით თან იქონიეთ ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტური საშუალება

- ხშირად გაწმინდეთ თქვენი ტელეფონის, კლავიატურის, მაგიდის ზედაპირები და კარის ხელსაკიდები ანტიბაქტერიული საშუალებებით.

- მობილური ტელეფონის/ქალაქის ტელეფონის გამოყენებისას გახსოვდეთ, რომ ტელეფონს შეეხეთ ხელებით, რომელიც პოტენციურად ვირუსის გადამტანია. ხშირად გამოიყენეთ სადეზინფექციო საშუალებები.

- მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება,

- შეინარჩუნეთ არანაკლებ 2 მ მანძილი თქვენსა და სხვა ადამიანებს შორის, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებთან, რომლებიც ახველებენ, აცემინებენ ან/და მაღალი სიცხე აქვთ.

- მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას, ჩახუტებას და სხვა) და დაიცავით უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2 მ-სა); არ შეეხოთ ხელებით თვალებს, ცხვირსა და პირს.

- დახველებისას და დაცემინებისას ცხვირზე/ პირზე მიიფარეთ ცხვირსახოცი ან იდაყვი; გამოყენებული ცხვირსახოცი ჩააგდეთ ურნაში.

- თუ გაქვთ სიცხე, ხველა და სუნთქვის გაძნელება, დროულად მიმართეთ ექიმს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ იმოგზაურეთ იმ ქვეყნებში სადაც გავრცელებულია ვირუსი ან ეჭვი გაქვთ, რომ კონტაქტი გქონდათ ვირუსის მატარებელთან.

- ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი და სამუშაო სივრცეები, დარწმუნდით რომ ჰაერის მიმოქცევა, ტემპერატურა და ტენიანობა ადეკვატურია.

- საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ, საპირფარეშოში შესვლის და გამოსვლის შემდეგ საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით და კარგად გაიმშრალეთ

- გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას;

- აკრძალულია პირადი დაცვის საშუალებების, ტანსაცმლის, პირადი ნივთების, **მობილური ტელეფონის** ***ერთმანეთისთვის თხოვება*** და გაცვლა.